

მარიამ გელხაური •

მეხსიერების პოლიტიკა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი: მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის მაგალითი

აქსტრაქტი

ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეა საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ზოგიერთ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების ისტორია აქტიურად უკავშირდება ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას, რაც ხშირად, მეხსიერების პოლიტიკის ნაწილი ხდება. ეროვნული დამოუკიდებლობის გამძაფრებული სურვილი საქართველოში განსაკუთრებით გამოიკვეთა საბჭოთა სამოცდაათ წლიანი მმართველობის პერიოდში. სწორედ, მე-20 საუკუნეს უკავშირდება ცნობილი ქართველი ეროვნული გმირის, დისიდენტის, მუსიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მომრაობის ლიდერის მერაბ კოსტავას მოღვაწეობა. მთელი მისი ცხოვრების განვლილი წლები ეროვნული თავისუფლების იდეისთვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშია. მერაბ კოსტავასთვის პიროვნების თავისუფლება - ერის თავისუფლებისგან მოუწყვეტლივ განიხილებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავა ხშირად იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, რაც ქართველი საზოგადოებისთვის საერთო ეროვნული ცნობიერების განვითარებისთვის მნიშნელოვან მოვლენად იქცა.

ეროვნული თავისუფლების კონტექსტში მეხსიერების პოლიტიკა, დღევანდელ საქართველოში, კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის ნარატივის კონსტრუ-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი.

ირების პროცესში, შესაბამისად, წარმოდგენილი თემა საკვლევად აქტუალურია. მუზეუმების როლი როგორც „მეხსიერების ადგილები“ თანამედროვე მეხსიერების პოლიტიკის კვლევებში ფართოდ განიხილება ინტერდისციპლინარული კუთხით, თუმცა ქართულ კონტექსტში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს მეხსიერების პოლიტიკის ცნობილი თეორეტიკოსის პიერ ნორას „lieux de mémoire“ (მეხსიერების ადგილი) კონცეფცია. იგი მრავალტომიან ნაშრომში („Les Lieux de mémoire“) მუზეუმს განიხილავს როგორც მეხსიერების ადგილსა და „კრისტალიზაციის წერტილს“, სადაც ისტორია და მეხსიერება ერთ-მანეთს ხვდება (Nora, 1997). ხოლო თეორიულად იგი მუზეუმის როლს ამტკიცებს სტატიაში სახელწოდებით - „მეხსიერებასა და ისტორიას შორის“ (Nora, 1989). შესაბამისად, **კვლევის სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ ფართო თეორიულ საფუძლეზე დაყრდნობით, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი პირველად განიხილება არა მხოლოდ როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, არამედ როგორც მეხსიერების პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ქმნის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას.

თავდაპირველად, მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი, თბილისში, 1991 წელს დაარსდა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით. რამდენიმე-წლიანი რესტავრაციის შემდეგ, 2025 წლის ოქტომბერში, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი განახლებული იერსახით გაიხსნა. დღესდღე იბით, მუზეუმში დაცულია მერაბ კოსტავას პირადი ნივთები, მემორიალური ავეჯი, ბიბლიოთეკა, ხელნაწერები, ნოტებისა და მუსიკალური ფირფიტების კოლექცია, მე-20 საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფოტო და დოკუმენტური მასალა, პირადი წერილები, მისი თაოსნობით გამოცემული არალეგალური ჟურნალ-გაზეთები და სხვა (tbilisimuseumsunion.ge, 2025).

წინამდებარე მოხსენება აანალიზებს მეხსიერების პოლიტიკისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხს მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის მაგალითზე. კვლევის მიზანია გაანალიზოს, როგორ იქცევა მუზეუმი მეხსიერების ადგილად („lieu de mémoire“) და როგორ წარმოჩინდება ეროვნული დამოუკიდებლობის ნარატივი მისი ექსპოზიციის, პირადი ნივთების, ხელნაწერებისა და სიმბოლური ელემენტების საშუალებით. მოხსენებაში მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი განიხილება როგორც კონკრეტული შემთხვევა, რომელიც ასახავს უფრო ფართო სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს: ეროვნული მოძრაობის ისტორიის, დისიდენტობისა და დამოუკიდებლობის იდეას კულტურულ სივრცეში. კვლევის მიზნები-დან გამომდინარე, საკვლევი ამოცანებია - 1) მუზეუმში დაცული ნივთებისთვის ეროვნული თავისუფლების იდეის განსაზღვრა; 2) მუზეუმში მერაბ კოსტავას პიროვნების წარმოჩენის იდენტიფიცირება სიტყვიერად (გიდის მიერ) და ვიზუალურად (ნივთების განლაგებით და მნიშვნელობით). საკვლევი კითხვებია: როგორ ახერხებს მუზეუმი, როგორც ინსტიტუცია, ეროვნული დამოუკიდებლობის ნარატივის მატერიალიზაციას და ამავდროულად, კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას? როგორ იქცევა პირადი ნივთები, ხელნაწერები და სიმბოლური ელემენტები „ეროვნული მეხსიერების“ მატარებლებად?

მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის მაგალითზე ეროვნული თავისუფლების იდეის სიღრმისეული ანალიზისთვის ნაშრომი დაეფუძნა თვისებრივი კვლევის მეთოდებს. შემთხვევის შესწავლამ (Case Study) საშუალება მომცა მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი განმეხილა, როგორც კონკრეტული მაგალითი, რომელიც ასახავს ფართო სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის გარშემო. დისკურსული ანალიზი მიმართულია მუზეუმის ტექსტების, წარწერებისა და გიდის ინტერპრეტაციების შესწავლაზე, რითიც გამოიკვეთა, რა სიტყვე-

ბით და ნარატივებით წარმოჩინდება კოსტავას როლი. ვიზუალური ანალიზის საშუალებით შეფასდა ექსპოზიციის სტრუქტურა, ნივთების განლაგება და ვიზუალური ეფექტები, ხოლო სემიოტიკური ანალიზით სიმბოლური ელემენტების მნიშვნელობის გააზრება, მაგალითად, ხელნაწერების, მუსიკალური ინსტრუმენტების ან ფოტოების, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლოების.

კვლევის შედეგად, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი წარმოჩინდა როგორც მეხსიერების პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ქმნის კოლექტიურ მეხსიერებას და ამყარებს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას. მუზეუმის ნარატივი გმირის, დისიდენტის და ეროვნული მოძრაობის ლიდერის ხატს აყალიბებს არა მხოლოდ დოკუმენტებითა და პირადი ნივთების საშუალებით, არამედ იმ სიმბოლური გარემოთი, სადაც ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული მისი სამუშაო ოთახი როიალით, ბიბლიითა და ფილოსოფიურ-ისტორიული ლიტერატურით, ასევე კედლებზე გამოკვეთილი ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწეების პორტრეტებით - ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ქაქუცა ჩოლოფაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი. ქვედა სართულზე ციხის საკნის იმიტაცია დამთვალი-ერებელს კოსტავას მრავალწლიან გადასახლებას ახსენებს. საკნის კედელზე გვხვდება წარწერა მისივე ესედან „თავისუფლება“: „დიახ! ციხა და ქვეყნის წინაშე ვაღიარებ: ნაძღვილი თავისუფლება საკანში იშვა“. მუზეუმის ზედა სართული, სადაც ვიზუალური კოლაჟები, სამძიმრის წერილები, ხელნაწერები და სიმბოლური მოქალაქე-ობრივი მოწმობაა გამოფენილი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კოსტავას ტრაგიკულ გარდაცვალებასა და მიუღწეველ თავისუფლების იდეალს. ამგვარად, მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი „lieu de mémoire“-ის ფუნქციას იძენს: მატერიალური და სიმბოლური ელემენტების ერთიანობით იგი დამთვალიერებელს არა მხოლოდ ისტორიულ ფაქტებს აცნობს, არამედ ემოციურ კავშირს ქმნის, რითაც ეროვნული იდენტობის გამყარებას უწყობს ხელს.

ამასთან, წარმოდგენილი კვლევა ღირებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობით, ინტერდისციპლინარული კუთხით. ანალიზი აჩვენებს მუზეუმების როლს მეხსიერების პოლიტიკის ჭრილში და მომავალში შესაძლებელია, სამეცნიერო საზოგადოებაში ამ თემაზე დისკუსიების გააქტიურებას შეუწყოს ხელი, საქართველოს მაგალითის ჩართვით გლობალურ დებატებში ეროვნული და მოუკიდებლობისა და მეხსიერების პოლიტიკის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მეხსიერების პოლიტიკა, ეროვნული და მოუკიდებლობა, მერაბ კოსტავა, სახლ-მუზეუმი, კოლექტიური მეხსიერება.

Bibliography

გელხაური, მ. (2024). ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, საქართველო.

Matsaberidze, M. (2014). The Democratic Republic of Georgia (1918–21) and the search for the Georgian model of democracy (Book: The Making of Modern Georgia, 1918–2012). 1st Edition, Routledge.

Nora, P. (1989, Spring). Between memory and history: Les lieux de mémoire. *Representations* (Special Issue: Memory and Counter-Memory), 7-24. Retrieved from <https://cic.edu/wp-content/uploads/2023/01/Nora.pdf>

Nora, P. (1997). *Les Lieux de mémoire*. Paris: Gallimard.

tbilisimuseumsunion.ge. (2025, 11 19). ძუზეუმების გაერთიანება. Retrieved from <https://tbilisimuseumsunion.ge/muzeumebi/merab-kostavas-sakhl-muzeumi/>

Imerlishvili, K., Gelkhauri, M. (2025). The Reasons for the Formation of Student Protest Movements in Contemporary Georgia. *Eastern Europe-Regional Studies*.

Mariam Gelkhauri

The Politics of Memory and the Issue of National Independence: The Example of Merab Kostava's House Museum

Abstract

The idea of fighting for national freedom is an integral part of Georgia's history. The life stories of some Georgian public figures are closely connected with the concept of the country's independence, which often becomes part of the politics of memory. The intensified pursuit of national independence in Georgia was particularly evident during the seventy years of Soviet rule. The 20th century, in particular, is associated with the activities of the famous Georgian national hero, dissident, musician, public figure, and leader of the national liberation movement, Merab Kostava. The entire past years of his life are the best example of the struggle for the idea of national freedom. For Merab Kostava, the freedom of the individual was inextricably linked to the freedom of the nation. Merab Kostava, a fighter for Georgia's independence, was often oppressed and imprisoned, which became a significant event in the development of a common national consciousness in Georgian society.

In the context of national freedom, memory politics continues to play a significant role in contemporary Georgia, particularly in the process of constructing the narrative of independence, which is why the topic presented is relevant for research. The role of museums as "places of memory" is widely discussed in modern memory politics research from an interdisciplinary perspective, although it has been little researched in the Georgian context. The theoretical framework of this work is the concept of "lieux de mémoire" (places of memory) developed by the famous memory politics theorist Pierre Nora. In his multi-volume work ("Les Lieux de mémoire"), he considers the museum as a place of memory and a "crystallisation point" where history and memory meet (Nora, 1997). He argues theoretically for the role of the museum in an article entitled

"Between Memory and History" (Nora, 1989). Accordingly, the novelty of the research lies in the fact that, on the basis of a broad theoretical foundation, the Merab Kostava House Museum is considered for the first time not only as an object of cultural heritage but also as an instrument of memory politics that constructs the idea of national independence.

The Merab Kostava Memorial House Museum was originally founded in Tbilisi in 1991 on the initiative of Georgia's first president, Zviad Gamsakhurdia. After several years of restoration, the Merab Kostava House Museum was reopened in October 2025 with a new look. Today, the museum houses Merab Kostava's personal belongings, commemorative furniture, a library, manuscripts, a collection of sheet music and records, photographs, and documentary materials on the national liberation movement of the second half of the 20th century, personal letters, illegal magazines and newspapers published under his leadership, and much more (tbilisimuseumsunion.ge, 2025).

This report analyses the topic of memory politics and national independence using the example of the Merab Kostava House Museum. The study aims to analyse how the museum becomes a place of memory ("lieu de mémoire") and how the narrative of national independence is presented through its exhibition, personal belongings, manuscripts, and symbolic elements. The article considers the Merab Kostava House Museum as a unique case that reflects broader social and political processes, including the history of the national movement and the concept of dissent and independence in the cultural sphere. Based on the research objectives, the research tasks are as follows: 1) to define the concept of national freedom for the objects kept in the museum; 2) to identify the representation of Merab Kostava's personality in the museum verbally (through the guide) and visually (through the arrangement and meaning of the objects). The research questions are: How does the museum, as an institution, succeed in materializing the narrative of

national independence while shaping collective memory? How do personal items, manuscripts, and symbolic elements become carriers of "national memory"?

The work was based on qualitative research methods for an in-depth analysis of the concept of national freedom using the example of the Merab Kostava Memorial House. The case study allowed me to consider the Merab Kostava Memorial House as a concrete example that reflects the comprehensive social and political processes surrounding the concept of national independence. The discourse analysis aimed to examine the museum's texts, inscriptions, and guided interpretations, revealing the words and narratives in which Kostava's role is portrayed. The visual analysis evaluated the structure of the exhibition, the arrangement of objects, and the visual effects, while the semiotic analysis assessed the meaning of symbolic elements such as manuscripts, musical instruments, and photographs as symbols of national independence.

As a result of the research, Merab Kostava's house museum proved to be an instrument of memory politics that creates collective memory and strengthens the idea of national independence. The museum's narrative shapes the image of a hero, dissident, and leader of the national movement not only through documents and personal items, but also through the symbolic environment in which his study is interwoven with a piano, a Bible, and philosophical-historical literature, as well as portraits of famous Georgian personalities engraved on the walls - Ilia Chavchavadze, Ekvtime Takaishvili, Kakutsa Cholokashvili, Aleksandre Batonishvili. In the basement, a replica prison cell reminds visitors of Kostava's long years in exile. On the wall of the cell is an inscription from his own essay "Freedom": "Yes! I confess before heaven and my country: true freedom is born in a cell." On the upper floor of the museum, where visual collages, letters of condolence, manuscripts, and a symbolic citizenship certificate are on display, Kostava's tragic death and the

unattainable ideal of freedom are emphasised once again. The Merab Kostava Memorial House Museum thus functions as a *lieu de mémoire*: through the unity of material and symbolic elements, it not only conveys historical facts to the viewer but also creates an emotional connection, thereby contributing to the strengthening of national identity. Furthermore, the research presented is valuable from an interdisciplinary perspective, both theoretically and practically. The analysis highlights the role of museums in the context of memory politics and, in the future, could help stimulate discussion on this topic in the academic community by incorporating the example of Georgia into global debates on national independence and memory politics.

Keywords: Memory Politics, National independence, Merab Kostava, House museum, Collective memory.